ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №18

ქ. ვანი 01.05.2019
წელი

ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ლილუაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ რაპაკა" წარმოდგენილი მისი დირექტორის კახაბერ გვეტაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს'" ქვეპუნქტის, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. შესყიდვის საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი"-ს მიერ ქ. ქუთაისში გამართული „გვირილობა 2019" ღონისძიებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით 2 (ორი) ცალი ბრენდირებული მაისურის შესყიდვა.

1.2 CPV 18235300

1.3 ხელშეკრულების ღირებულება 40 (ორმოცი) ლარი.

2. საქონლის მიწოდება

2.1 საქონლის მიწოდება 2019 წლის 10 მაისამდე.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას.

4. ანგარიშსწორება და ვალუტა

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის, წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით

6.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

6.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის

ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 ივნისამდე

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი"

ქ. ვანი თავისუფლების ქუჩა N65

სახელმწიფო ხაზინა

ს/კ 429652592

დირექტორი:

ნანა ლილუაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „რაპაკა"

ქ. ქუთაისი, წერეთლის №35

სს "პროკრედიტ ბანკი"

ა/ანგარიში: GE54PC0013600100045900

ს/კ 412704505

დირექტორი:

კახაბერ გვეტაძე

NNLE VANI TOURISM CENTER

Digitally signed by NNLE VANI TOURISM CENTER
Date: 2019.05.05 23:41:02 -07'00'